Projekt 543681-TEMPUS-1-2013-1-DE-TEMPUS-JPHES „Network of competence centres for the development of cruise tourism in the Black Sea region" – CruiseT

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტთან არსებული
„საკრუიზო ტურიზმში კომპეტენციათა რეგიონული ცენტრი“

აცხადებს კონკურსს

სტუდენტთა საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისათვის

ევროკომისიის ტემპუსის პროექტის „კომპეტენციათა ცენტრების ქსელი შავი ზღვის რეგიონის საკრუიზო ტურიზმის განვითარების მიზნებისათვის" (Projekt 543681-TEMPUS-1-2013-1-DE-TEMPUS-JPHES „Network of competence centres for the development of cruise tourism in the Black Sea region - CruiseT" ფარგლებში ბსსა-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი მიმდინარე წლის ზაფხულში ახორციელებს პროექტს

„ეფექტურად გამოვიყენოთ რეგიონის ტურისტული პოტენციალი“

1. **პროექტის შინაარსი.** პროექტი ატარებს ტურიზმის სფეროში კვლევითი და კონსალტინგური მომსახურების ხასიათს. ძირითად მიმართულებას წარმოადგენს რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და მისი ეფექტური გამოყენების შესაძლებლობების გამოვლენა.
   პროექტით მიღებულმა შედეგებმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ან მის ცელკეულ რეგიონში ტურიზმის, მათ შორის საკრუიზო ტურიზმის განვითარებას.
2. **პროექტის ხელმძღვანელი.** ბსსა-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები.
3. **პროექტში ჩართულ მხარეები:**
   - ბსსა-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტთან არსებული „საკრუიზო ტურიზმში კომპეტენციათა რეგიონული ცენტრი“;
   - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლისს მეურნეობის სამინისტრო;
   - ხელვაჩაურის გამგეობა;
   - ბსსა-ს სტუდენტები;
4. **განხორციელების ვადები.** საზაფხულო სკოლა იმუშავებს 2016 წლის 11-24 ივლისის ჩათვლით.
5. **მოსალოდნელი შედეგი.** პროექტის შედეგებმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ან მის ცელკეულ რეგიონში ტურიზმის, მათ შორის საკრუიზო ტურიზმის განვითარებას.
6. **საკონკურსო პირობები:**
   - საზაფხულო სკოლის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ბსსა-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტუდენტებს (უპირატესობა მიენიჭებათ ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს);
   - კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს განცხადება დეკანის სახელზე;
   - კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი.
7. **განაცხადის შემოტანის ვადები და ადგილი.** საბუთები მიიღება მიმდინარე წლის 5 ივლისის ჩათვლით. ბსსა-ს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანატში

შენიშვნა: საზაფხულო სკოლის ფარგლებში სტუდენტებს ჩაუტარდებათ მასტერ-კლასები, გაივლიან სტაჟირებას სახელმწიფო დაწესებულებებში, ჩაატარებენ საველე კვლევებს და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს, მიღებული შედეგები განხილული იქნება პროექტში ჩართული მხარეების მონაწილეობით, ასევე წარდგენილი იქნება ტემპუსის პროექტის **Projekt 543681-TEMPUS-1-2013-1-DE-TEMPUS-JPHES „Network of competence centres for the development of cruise tourism in the Black Sea region" – CruiseT“** შემაჯამებელ შეხვედრაზე **ბათუმში** (2016 წლის 2-11 სექტემბერი).